რაიონულ საკრებულოში

## კვლავ პრობლემების შესახებ

უკანასკნელ ორ დეკადაში სამი ღონისძიება გაიმართა რაიონში, რომლებზედაც მკაცრად იყო ლაპარაკი რაიონში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყოფით საკითხებში არსებულ გადაუჭრელ პრობლემებზე. არადა მათი მოგვარება დროულად შეიძლებოდა თუ შესაბამისი წარმოება - დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები გულთან მიიტანდნენ საქმეს, მაგრამ ბევრ საკითხში ასე არ მოხდა, ამიტომ რაიონის ომისა და შრომის ვეტერანებმა, მშრომელთა სოციალისტური პარტიის და ორგანიზაცია „სტალინის“ რაიონული ორგანიზაციის წევრებმა მოითხოვეს შეხვედრა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებთან და იგიც შედგა რაიონული საკრებულოს სხდომათა დარბაზში 4 მარტს.

შეხვედრაზე ინფორმაციით გამოვიდა ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ლ. ჩიქოვანი. კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. სალინაძემ, ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა დ. კოპალიანმა, საგადასახადო ინსპექციის მუშაკმა ვ. ჭაბუკიანმა, კინოფიკაციის დირექტორმა ბ. ხეცურიანმა, ომის ვეტერანებმა გ. ბენიძემ, რ. ბაქრაძემ, პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ჯ. მიქაძემ, რაიონის მოსამართლემ ლ. გურგუჩიანმა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ ვ. ხაბულიანმა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარმა ინჟინერმა მ. ლიპარტელიანმა, საქალაქო საკრებულოს გამგებელმა გ. ყურაშვილმა და სხვებმა.

შეხვედრაზე ბევრი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომლებზედაცაა ძირითადად დამოკიდებული ამ პრობლემების გადაწყვეტა, ჩვენი ისედაც შეჭირვებული, დაშინებული მოსახლეობის ყოფითი საკითხების მოგვარების მიზეზებს მეტი ყურადღება დაუთმეს, ვიდრე პრობლემების გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარების გზების ძიებას და ნაკლოვანებათა ერთიმეორეზე გადაბრალებას ცდილობდნენ.

არადა შეხვედრაზე კვლავ მკაცრად აღინიშნა, რომ რაიონში დღითიდღე მწვავდება კრიმინოგენური მდგომარეობა, სისტემატური ხასიათი მიიღო ქურდობამ, ძარცვამ, ბანდიტობამ. ის, რაც ამ დღეებში მოხდა ქ. ცაგერში ბაბუხადიას ოჯახში, წარმოუდგენელია ლეჩხუმისათვის. არ ხდება სასტიკ დამნაშავეთა სამაგალითო დასჯა, ხშირია შემთხვევა, როცა დამნაშავეს სხვადასხვა მიზეზით არ აკავებენ. გაუმართლებელია, რომ ერთდროულად შვებულებაში იმყოფებიან რაიონის პროკურორი და მილიციის უფროსი. ისიც აღინიშნა, რომ მილიციას არ აქვს ელემენტარული პირობები მუშაობისათვის, არ ყავთ ავტომანქანა, არ აქვთ საწვავი, იარაღი, მუშაკთა კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს, სუსტია ადმინისტრაციული ორგანოების კავშირი საზოგადოებასთან, არ წარმოებს პროფილაქტიკური მუშაობა, არ არის მორიგეობა ქალაქსა და სოფელ ადგილებში სახალხო რაზმელების, მასწავლებლების, არ ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა კომისია, მილიციის ბავშვთა ოთახი.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. არ სრულდება მთავრობის გადაწყვეტილება კომერციულ მაღაზიებში რესპუბლიკის საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვის შესახებ. პურის ფქვილი თითქმის ყველა სოფელში გაიყიდა სხვადასხვა ფასში მაღაზიის გამყიდველთა შეხედულებისამებრ.

ყველამ მიივიწყა ომის ვეტერანებზე შეღავათების გავრცელება. ვაჭრობას თავი რომ დავანებოთ, შეღავათები არ ეძლევათ სამკურნალო წამლებზე, წყალზე, სინათლეზე, თხევად გაზზე.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ავტოსატრანსპორტო საწარმოს საქმიანობა. მთელი ზამთარი მგზავრები ცაგერიდან ქუთაისში მგზავრობდნენ კომერციული ავტობუსებით, სატვირთო ავტომანქანებით, მაშინ როცა საწარმოს ავტობუსების მეტი წილი არ მუშაობდა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რიონის ცენტრის, ლაჯანურისა და რიონის ხეობების სოფლებთან ტრანსპორტით დაკავშირების საქმეში. შეიძლება ითქვას, ნახევარი ლეჩხუმი მოწყვეტილია ცენტრს, რადგან არ დადის ავტობუსი.

ჭიანურდება რაიონის სოფლებში მიწის პრივატიზაცია, არადა სულ მალე საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყება. პრივატიზაციის დროს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად უნდა იქნას გათვალისწინებული ქალაქის მცხოვრებლებზე მიწების გამოყოფის საკითხი.

ბევრი მტკივნეული საკითხი დააყენეს გამომსვლელებმა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია. არადა უჭირს მშრომელებს, არ აქვთ ცხოვრების ელემენტარული პირობები. საჭიროა არა მიზეზების ძებნა, არამედ საქმე, კონკრეტული საქმე.

შეხვედრის მონაწილეებმა წინადადება წამოაყენეს ერთი თვის შემდეგ კვლავ შეხვდნენ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოს მუშაკებს, მოწოდებულ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რათა გაირკვეს ვინ როგორ მიიტანა გულთან საქმე და რა გააკეთა.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა რაიონის გამგებელმა აკაკი პირველმა.

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 11 (6557) 18 მარტი ხუთშაბათი 1993 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარლამენტის წარმომადგენლობა ცაგერში

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა ადგილებზე რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენლობანი. წარმომადგენლობა თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე. წარმომადგენელს ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ამ ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის წარდგინებით.

პარლამენტის წარმომადგენლობის ამოცანაა უზრუნველყოს საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრთა ნორმალური საქმიანობა, დაეხმაროს მათ საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, რეგიონალური პრობლემების დამუშავების საქმეში.

პარლამენტის წარმომადგენლობა ორგანიზაციას უწევს პარლამენტის წევრის მიერ მოქალაქეთა მიღებასა და ამომრჩევლებთან შეხვედრას, ხელს უწყობს პარლამენტის წევრებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციაში.

წარმომადგენლობა გამოითხოვს საჭირო მონაცემებს და იღებს ინფორმაციებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან წამოჭრილ პრობლემებზე, მონაწილეობს მათ გადაჭრაში, იხილავს პარლამენტის წევრის სახელზე შემოსულ კორესპონდენციებს, მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს. ადგილებიდან რეგულარულად აწვდის ინფორმაციას პარლამენტის დაინტერესებულ წევრებს და ა. შ.

პარლამენტის წარმომადგენლად ცაგერის რაიონში დანიშნულ იქნა გულნაზი რაფიელის ასული კოპალიანი.

მისამართი: რაიონული საკრებულო. პირველი სართული, ოთახები № 3, 4. ტელეფონები: 32-91, 32-11.

## სამშობლოსათვის, ბიჭებო

**მიმდინარეობს წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა, საქართველოში ომია და რა დასამალია, ჩვენი მიწის დაცვაში ნაკლებად ჩანს ჩვენი კუთხის, ლეჩხუმის წვლილი, გასაწვევია რეზერვისტები, 50 კაცის შემადგენლობით უნდა ჩამოყალიბდეს ლეჩხუმის მოხალისეთა ბატალიონი.**

ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი რაიონის სამხედრო კომისართან კობა კოპალიანთან, რომელმაც გვითხრა:

— ახლა ჩვენთან საგაზაფხულო გაწვევა იწყება, მანამ კი აღრიცხულია რაიონში მცხოვრები გაწვევას დაქვემდებარებული ახალგაზრდები. პირველ რიგში წვევამდელები გადიან სამედიცინო შემოწმებას, რეგულარული გაწვევა კი დაიწყო 16 მარტიდან და იგი გაგრძელდება პირველ ივნისამდე. ყველამ უნდა იცოდეს და ერთხელ კიდევ მინდა განვმარტო, რომ ქართულ ჯარში ორი წლის ვადით გაიწვევიან 18 წლიდან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.

გაწვევისაგან თავისუფლდებიან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, დედისერთები, თუკი მარტოხელას და მარჩენალდაკარგულის მომვლელია. მინდა ყველამ იცოდეს ასევე, რომ 6 თვიანი მომზადების გარეშე კატეგორიულადაა აკრძალული რეგულარულ არმიაში ახალწვეულთა მივლინება სპეციალური დავალების შესასრულებლად, ასე რომ, სასტიკადაა აკრძალული ახალწვეულთა პირდაპირ, გაწვევისთანავე საომარ ოპერაციებში ჩართვა.

ჩვენი რაიონის ახალგაზრდებმა ერთ დროს უარი თქვეს რუსულ ჯარში სამსახურზე, დღეისათვის საქართველოს რეგულარულ არმიაშიც არ ირიცხება არც ერთი ლეჩხუმელი. ვინც თავს არიდებს სამხედრო-სავალდებულო გაწვევას, ახალი სამხედრო კანონმდებლობით მიცემულ იქნება სასამართლოში და როგორც სამშობლოს მოღალატე, მკაცრად აგებს პასუხს. თავდაცვის მინისტრის 26 თებერვლის ბრძანების თანახმად ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც თვითნებურად დატოვებს სამხედრო ნაწილს, 5 დღის ვადაში გადაეცემა სამხედრო პროკურატურას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

რაც შეეხება რეზერვისტებს, რა დასამალია და ძალზე გვიჭირს ამ მხრივაც. რთულზე რთულია მათთან მუშაობა, ამიტომაა, რომ აფხაზეთის ომში ძალზე პასიურია და შეიძლება ითქვას, საერთოდ არ იგრძნობა ლეჩხუმელთა როლი; მაშინ, როცა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონშია შექმნილი ბატალიონი.

ახლა სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ უნდა დაკომპლექტდეს რეზერვისტთა 10 კაციანი ჯგუფი, რომელიც გაგზავნილ იქნება ქალაქ ქუთაისში. იქ გაივლიან 10 დღიან მომზადებას, შემდეგ კი კონფლიქტის ზონაში წავლენ.

მოხალისეთა ბატალიონი, როგორც უკვე ვთქვი ზემოთ, ამ დღეებშია შესაქმნელი. მასში უნდა გაერთიანდნენ სამხედრო გამოცდილების მქონე 50 წლამდე ასაკის მამაკაცები, თუმცა, თუკი მსურველები გამოჩნდებიან, რეზერვისტთა ჯგუფში, ან ბატალიონში გაერთიანებაზე არც ქალებს ვეტყვით უარს.

ეს ბატალიონი, შეიქმნება რა რაიონში, იქნება ადგილზე და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მოხდება მისი გადაადგილება საომარი კონფლიქტის ზონაში.

**მაშ, ასე, ძვირფასო ლეჩხუმელებო! ძალზე მძიმე განსაცდელშია დედა საქართველო. აფხაზი სეპარატისტები და დაქირავებული უცხო ბანდები ცდილობენ წაგლიჯონ ჩვენს სამშობლოს ულამაზესი კუთხე — აფხაზეთი. განსაცდელის ჟამს ჩვენს წინაპრებს არა ერთხელ დაუდასტურებიათ, რომ ლეჩხუმში არავისზე ნაკლები პატრიოტები არ არიან, ასეთი განსაცდელი კი ჩვენს სამშობლოს იშვიათად, ან შეიძლება ითქვას — არასდროს არ დასდგომია, სწორედ ახლა გვმართებს გავიაზროთ ეს, გამოვიჩინოთ მამულიშვილობა და შევუერთდეთ ჩვენი მიწის დამცველთა რიგებს.**

მიწის რეფორმა

# სირთულეების მიუხედავად...

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 16 იანვრის დადგენილებით — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის მიმდინარეობის შესახებ — გაუქმდა მთავრობის 1991 წლის დადგენილება, ახალი დადგენილების მიღებიდან საკმაო დრო გავიდა, დიდთოვლიანი გაჭიანურებული ზამთრის შემდეგ, როგორც იქნა დათბა, ცოტაც და გულითადი მუშა-გაზაფხული ჩამოდგება. დადგენილებას, როგორც კანონს, ხელი უნდა მოვკიდოთ და ბოლოსდაბოლოს პრაქტიკულად განვახორციელოთ მიწის რეფორმა, ყველაზე მწვავე, თითქმის რევოლუციის ტოლფასი პრობლემა.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდით მიწის რეფორმის განხორციელების რაიონული კომისიის თავმჯდომარეს, რაიონის საკრებულოს გამგებლის მოადგილეს, ბატონ ვაჟა კოპალიანს. მოვუსმინოთ მას:**

რაიონულ კომისიაში, ჩემის აზრით, საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტები ჩავრთეთ. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მიწის რეფორმის თაობაზე მთავრობის არა ერთი დებულება გამოიცა ახალ-ახალი ცვლილებებით. ამან დააბნია ხალხი. წინა დებულებაში ჩადებული პუნქტი, მამაპაპური მიწების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ, თავის სასარგებლოდ მოირგო ბევრმა — დაიტაცა მიწა, წაართვა მეზობელს, ახლობელს, ერთი სიტყვით, ძალამ და უსინდისობამ გაიმარჯვა. ათეული წლობით რომ შვილივით უვლიდა გლეხი მიწას, ბუნებრივია, ძნელად მთმობა, საარსებოც რომ არ იყოს, ფსიქოლოგიურადაც ძნელია შეეგუოს ამას. ამიტომ, ოჯახი ოჯახს, სოფელი სოფელს გადაეკიდა, მკვლელობაც მოხდა. ბევრგან სოფლის კომისიებმა თავიანთ სასარგებლოდ იმუშავეს, საკუთრივ დაირიგეს ხეირიანი ადგილები და ხალხი მოტყუებული დატოვეს. არც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გააკეთეს რამე ამ მიმართებით.

წინა წლების გაკვეთილიდან გამომდინარე, გვესმის, რომ ძალზე ფრთხილი, სერიოზული და წინდახედული მუშაობა მოგვიწევს. რა თქმა უნდა, ძნელია გაფუჭებული საქმის გასწორება და ეს სირთულეებს უქმნის კომისიას მუშაობაში. ჩავერიეთ უსახელო-სპათაგორის, ჰელისთავიზარაგულის, ქვედა ლუხვანოგორის უბნის, მახაშსა და დეხვირს შორის სასაზღვრო კონფლიქტებში. ბევრი მოვაგვარეთ, ბევრის გადაწყვეტა კვლავ მოგვიწევს.

დღეს მთელი პასუხისმგებლობა მიწის განაწილებაზე ეკისრებათ ადგილობრივ საკრებულოებს და კოლმეურნეობათა ყოფილ ხელმძღვანელებს ერთობლივად. შარშან კოლმეურნეობათა სპეციალისტების იგნორირება კომისიებისაგან, ჩემის აზრით, დიდი შეცდომა იყო. მათ, ასე თუ ისე, ყველაზე უკეთ იციან სოფელი, მისი სახნავ-სავარგული, ავკარგი, თითოეული გლეხი. კოლმეურნეობების რეორგანიზაციის მიუხედავად, რომელთა ბაზაზე სოფლის მომსახურე რგოლები იქმნება, არამც და არამც არ თავისუფლდებიან ისინი არც მორალური და არც მატერიალური პასუხისმგებლობისაგან. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საკრებულოთა გამგებლების ინერტულობა, ფაქტიურად მუშაობა თავიდანაა ყველა რეგიონში დასაწყები. პირდაპირ გასაოცარია კომისიებისა და ხელმძღვანელი მუშაკების პოზიცია, რომლებიც მოტივით, რომ არა გვაქვს მიწის კანონი, ფეხს ითრევენ, რაშიც ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი, დადგენილებას, რომელიც ხელთა გვაქვს, კანონის ძალა აქვს და მეორეც, კანონიც რომ მივიღოთ, თუ არ შევასრულეთ, ის არ იქნება კანონი. მით უფრო კომპეტენტური წყაროდან ვიცით, რომ ამ დღეებში პარლამენტი მიიღებს ჩვენი ერისთვის [illegible] მნიშვნელობის დოკუმენტს — მიწის [illegible].

გაჭიანურებულმა ზამთარმაც დააგვიანა ეს პასუხსაგები პროცესი, ახლა იმის დაპირება, რომ რაიონული კომისია ყველაფერს გააკეთებს, ძნელია, მაგრამ ერთი ფაქტია, თუ მაქსიმალურად ვიმუშავებთ, თუ აქ კომისიები, მთელი სოფელი, ხალხი ერთად დავდგებით და ობიექტურად, პატიოსნად ვიმოქმედებთ, მიწას გავანაწილებთ. სხვა გზას ვერ ვხედავთ, განუკითხაობით ზოგი მთლად განებივრდა და ზოგი მთლად დაიჩაგრა. რაიონული კომისია ამ დღეებში გავა ადგილებზე და ვფიქრობთ დაიძვრება საქმე წინ.

* * *

მიწის რეფორმის განხორციელების თაობაზე ამ დღეებში გაიმართა რაიონული თათბირიც.

# გაზაფხულია, შევამოწმოთ თესლი

**მიმდინარე 1993 წლის საგაზაფხულო თესვისათვის რაიონში 790 ცენტნერი მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების თესლი საჭირო. აქედან სიმინდის თესლი საჭიროა 670 ცენტნერი, ლობიოსი კი — 120 ცენტნერი.**

**ფაქტიურად დღეისათვის რაიონში გაცილებით მეტი სათესლე მასალაა შენახული, მაგრამ იგი ცალკეულ მოიჯარეებთან ინახება, რაც მკვეთრად ამძიმებს მისი თესვითი ხარისხის დადგენას.**

**ყველა მეურნემ იცის, რომ მაღალი მოსავალი, მხოლოდ კარგი და გადარჩეული თესლისაგან მიიღება. რაც უფრო უკეთესი და მაღალხარისხოვანია თესლი, მით უფრო კარგი მცენარე განვითარდება მისგან და უხვი მოსავალიც მიიღება.**

**თესლის ხარისხი განისაზღვრება გაღვივების უნარით, ფიზიკური სიწმინდით, მარცვლის ტენიანობით, მავნებლებითა და დაავადებებით, დაზიანებისა და 1000 მარცვლის წონის მაჩვენებლებით. თესლის ხარისხის ნორმატივები დადგენილია სახელმწიფო სტანდარტით, რომლის დარღვევა კანონით აკრძალულია.**

**ტაროდ გადარჩეული სათესლე მასალა თესვამდე 20-25 დღით ადრე უნდა დაიფშვნას და განიავდეს. შემდეგ თესლი მოწმდება მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციაში, რომელიც დასათესად ვარგის თესლზე გასცემს მოწმობას. აკრძალულია შეუმოწმებელი თესლის დათესვა.**

**ჩვენი რაიონის მცხოვრებთათვის ცნობილია თუ რაოდენ მკაცრი იყო წლევანდელი ზამთარი თავის დიდთოვლობით, ხანგრძლივი და ძლიერი ყინვებით, რაც უეჭველია თავის გავლენას მოახდენდა საგულდაგულოდ შენახულ თესლის ხარისხზედაც.**

**გვერწმუნეთ, რომ თესლის ორგანოლეპტიკური (თვალთხედვით) დათვალიერებით არ ხერხდება თესლის გაღივების უნარის დადგენა. არის შემთხვევები, რომ დათვალიერებით თესლი კარგი გვგონია, მაგრამ ფაქტიურად იგი გაღივების უნარმოკლებულია. თესლის გაღივებაზე უტყუარ დასკვნას მხოლოდ მისი ლაბორატორიული ანალიზი იძლევა.**

**ამასთან ერთად შეგახსენებთ, რომ რაიონის მთელ რიგ სოფლებში (ტვიში, ალპანა, ჩხუტელი და სხვა) ლობიოს კულტურა დაზიანებულია მემარცვლიათი, რომლის შემოწმება აუცილებელია, რათა არ მოხდეს მემარცვლიათი დაზიანებული თესლით თესვა, რომ ხელი არ შევუწყოთ მის ფართო მასშტაბით გავრცელებას.**

**ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე რაიონის ყველა მოიჯარეს მოგიწოდებთ შეამოწმოთ დასათესად განკუთვნილი თესლის პარტიები, რისთვისაც თესლის ნიმუშები უნდა წარმოადგინოთ მეთესლეობის ინსპექციაში 1,3 კილოგრამის რაოდენობით, საიდანაც ინსპექციაში დავიტოვებთ მხოლოდ 200 გრამს ანალიზისათვის, ხოლო დანარჩენს უკან დაგიბრუნებთ წარმოდგენისთანავე. თესლის ხარისხის განსაზღვრას და პასუხის გამოგზავნას შეგისრულებთ უფასოდ.**

ლ. ლიპარტელიანი,

ცაგერის თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

# გზას მუშაკთა წყალობით

ეკონომიკურ, პოლიტიკურ-სოციალურ გაჭირვებას წლევანდელი მძიმე ზამთარიც დაემატა და ისედაც შეწუხებული ხალხი ათასჯერ მეტად შეაწუხა.

არსაიდან იმედი!... ასეთია მთა-სოფლების ბედი, არც ადგილობრივი ხელმძღვანელობა იწუხებს თავს და რაიონის ხომ შეიკავებს და ის იქნება.

უგზობა, უპურობა, უნავთობა, აი, ჩვენი „მეთვალყურეების“ დიდი ნაღვაწი. თუ შემოაღწია პურმა, მიდი, თუ ვაჟკაცი ხარ და იყიდე.

ერთხელ თურმე ბნელ საკანშიაც აღწევს სინათლის სხივი...

ოლეგ! შენ და შენმა შრომითმა კოლექტივმა მარტო შენი სოფლისათვის არ იზრუნეთ და ამ მიტოვებულ უპატრონო ცხუკუშერ-ნაკურალეშსაც რომ მოხედე, ესაა შენი დიდი კაცობა. აბა ნაკურალეშელ და ცხუკუშერელ კაცს ვინ მოხედავდა.

...გარდაიცვალა ნამარი, დიდი ნაშრომ-ნაღვაწი ვეტერანი კაცი ნაკურალეშში (კი არ გარდაიცვალა, ისნამდვილად მოკვდა) და მეზობლების და ახლობლების ცრემლიც არ დაშრენია. რატომ? გზა სად იყო, იმარჯვა სოფელმა და გამოიტანეს საფლავამდე.

ირონიაა! დიახ, ბედის მწარე ირონია!

დიახ დავეჩვივართ ახლა ცაგერის საგზაო სამმართველოს სპეციალისტთა მიერ გაკვალულ გზაზე. მადლობა ოლეგ გიორგობიანს, გზის მუშაკებს ღვირიშის, ცხუკუშერისა და ნაკურალეშის მცხოვრებთა სახელით.

ე. ხეცურიანი.

# გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ტვიშის კოლმეურნეობის მიწის პრივატიზაციის კომისიაში შემოვიდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების განცხადებები და ითხოვენ მიწის პრივატიზაციისას პირველ კატეგორიას, ე. ი. კოლმეურნე ოჯახების თანაბრად მიწის ფართობის მიღებას, ესენი არიან ვინც ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით მუშაობენ ღვინის ქარხნებში, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ სოფლად თუ ქალაქად სკოლებში, მომარაგებაში, დამზადებაში, აგრეთვე სხვადასხვა ადგილებზე. ამასთან ისინი, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდნენ კოლმეურნეობაში ბრიგადირებად, აგრონომებად, მეცხოველეობის ფერმის გამგეებად, და ამჟამად ცხოვრობენ ტვიშში, მაგრამ ჩაწერილი არიან ქალაქად. თქვენი გაზეთის საშუალებით გთხოვთ გვიპასუხოთ, სწორი იქნება თუ არა მიწის პრივატიზაციის დროს მათი დაკმაყოფილება პირველი კატეგორიით?

**ჟორა ასათიანი,**
**ტვიშის მიწის პრივატიზაციის კომისიის თავმჯდომარე.**

ზემოთაღნიშნულ კითხვაზე გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციამ **განმარტება** სთხოვა მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის განყოფილების უფროს მიწათმომწყობს ჟორა ახვლედიანს.

**ამჟამად არსებული დებულების თანახმად აგრონომი, რომელიც სკოლაში ასწავლის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მევენახეობას, მეხილეობას, არის სოფლის მეურნეობის სპეციალისტი; მიწების პრივატიზაციის დროს უნდა მიეკუთვნოს პირველ კატეგორიას თუ ოჯახით ცხოვრობს და მუშაობს სოფელში.**

**აგრონომები, რომლებიც კოლმეურნეობის დროს მუშაობდნენ ბრიგადირებად, აგრონომებად, ფერმის გამგეებად, მაგრამ ჩაწერილი არიან ქ. ქუთაისში, მიწების პრივატიზაციის დროს პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან იმ შემთხვევაში თუ ამოეწერებიან ქ. ქუთაისიდან და მუდმივ საცხოვრებლად გადმოვლენ რაიონში, თუ არ ამოეწერებიან, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,25 ჰექტარზე მეტი არ ეკუთვნით (საფუძველი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის №39 დადგენილება).**

**სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები, მიწათმომწყობები, ინჟინერ-მექანიზატორები და მიწების პრივატიზაციის დროს მიეკუთვნებიან პირველ კატეგორიას თუ ისინი ცხოვრობენ სოფლად და მუშაობენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით.**

**სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეები მიეკუთვნებიან მიწების პრივატიზაციის დროს მეორე კატეგორიას, მათ შორის არიან ღვინის ქარხანაში მომუშავე სპეციალისტებიც.**

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

## ხსოვნა

## გოდერძი ზურაბის ძე ტვილდიანი

კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე შეეწირა მამულის ერთიანობისათვის ბრძოლას.

გოდერძი ზურაბის ძე ტვილდიანი 1971 წელს დაიბადა სოფელ უცხერში და იქვე იზრდებოდა 9 წლამდე, ხოლო 1980 წლიდან მშობლების თბილისში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით ისიც წაიყვანეს; წარმატებით დაამთავრა თბილისის 118-ე საშუალო სკოლა. ამჟამად სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში მეორე კურსზე. როცა სამშობლოს გაუჭირდა, გულმა სახლში აღარ გაუძლო და თბილისის მოხალისეთა ერთ-ერთ ბატალიონში ჩაეწერა, მცირე ვარჯიშის შემდეგ ამხანაგებთან ერთად აფხაზეთში წავიდა საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მაგრამ მტრის ტყვიამ არ დაინდო სამშობლოს პატრიოტი, 6 მარტს მძიმედ დაიჭრა თავის არეში, ხოლო 12 მარტს გარდაიცვალა ჭრილობის გამო. 20 მარტს დანიშნულია მისი დასაფლავება თავისსავე მშობლიურ სოფელში—უცხერში.

სამარადისო დიდება მისი.

## მამუკა როსტომის ძე ქარსელაძე

საბედისწერო გამოდგა შენთვის 1992 წლის 15 მაისი, პარასკევი დღე. შეგვძულდა გაზაფხული, სიცოცხლე, სიხარული, შვილო! 19 მარტს 3 წლისა უნდა გამხდარიყავი, მაგრამ არ დაგცალდა არც ბავშვობა და არც ზრდასრულობა. 3 დღე იავადმყოფე მხოლოდ, ბავშვობასთან თამაშმინებებული, სევდიანი თვალებით ებრძოდი სიკვდილს.

გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები, შვილო, სიზმარში მაინც დაენახე შენს გამწარებულ დედ-მამას, მოგეფერებით, ჩაგიხუტებთ, ახლა უფრო დიდი ბიჭი იქნები.

გაზაფხულია, შვილო. ირგვლივ სიცოცხლეა და ხალისი. შენ სადა ხარ, უჩვენობას როგორ ეგუები.

რა ვქნათ, ჩვენი ცრემლი ზღვას ერთვის, მაგრამ არსაიდან ჩანს შველა. ისლა დაგვრჩენია, შენს საფლავს მოვეფეროთ, პატივი ვცეთ, არ მივატოვოთ.

ოჯახი.

## ყურადღება!

მიმდინარე წლის 1 [illegible] ვლიდან [illegible] რისა 1 [illegible] ქტროენერგიის ღირებულება გახდა 10 მანეთი ნაცვლად 3 მანეთი და 60 კაპიკისა, ხოლო 1 მარტიდან მოსახლეობასაც გადახდება 3 მანეთი ნაცვლად 1 მანეთისა.

ენერგოზედამხედველობისა და კომერციის ქუთაისის ცაწარმოს ცაგერის უბანი.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით 1993 წლის 1 იანვრიდან ერთი კილოგრამი თხევადი გაზის ღირებულებაა 72 მანეთი და 73 კაპიკი. გამომდინარე აქედან ერთი ბალონი თხევადი გაზის (11 კილოგრამი) სარეალიზაციო ღირებულებაა 800 მანეთი და 03 კაპიკი.

* * *

უახლოეს დღეებში რაიონის სყვაჭრო ქსელში შემოტანილი და რეალიზებულ იქნება 16 ტონა შაქარი.

როგორც ეს გაზეთ „ლეჩხუმის" ფურცლებიდან შეიტყო მკითხველმა, რაიონის მოსახლეობა საკრებულოების მიერ 1 იანვრისათვის წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით 19 ათსს აღწევს. აქედან გამომდინარე რაიონული საკრებულოს გამგეობასთან შექმნილმა სურსათით მომარაგებისა და განაწილების კომისიამ გადაწყვიტა შაქარი გაიყიდოს შემდეგი წესით:

16 წლამდე ასაკის ბავშვებზე 1 სულზე—1,5 კგ. უფროსი ასაკის მცხოვრებლებზე—0,5 კგ. დღეის მდგომარეობით რაიონში აღირიცხება 3560 ბავშვი, 15500 უფროსი ასაკის მოსახლეობა. ამასთან იგივე წესით შაქარი მიეყიდება რაიონში ლტოლვილ მოსახლეობას, რომელთა რაოდენობა 1260 აღწევს, აქედან 700 ბავშვია, შაქრის გარკვეული ნაწილი გაიცემა აგრეთვე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებზე.

რაიონული კომისია.

## გილოცავთ

**იამზე ცხვედიანს, ბადრი კვირკაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის მფარველი.

**დარეჯან მეტონიძე, იამზე, ნინო გურჯალიანები, ნინო სილაგაძე, ნინო ცხვედიანი, ქეთინო ბერუჩაშვილი, დარეჯან ქლიბაძე, აზა ირემაძე, მაიზერ ახვლედიანი, ანზორ გვიშიანი.**

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ,**
**მაგული, ნინო ჭაბუკიანებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილისა და ძმისშვილის შეძენას.

**ბიქტორ გვიშიანი, შმაგი სვანიძე ოჯახებით.**

---

**რომან ოგოლაძეს, ნანული ასათიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**შალვა, თამრო, იური' ცირა' ლალი, აჩიკო, ციური, ანზორი.**

---

**ხათუნა ერგელიძეს, ნუგზარ გვიშიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

**მაკა სილაგაძე.**

---

**მანონი, იური ხეცურიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო.

**ღვირიშის საკრებულოს თანამშრომლები ოჯახებით.**

---

**ნატო დავითულიანს, გენადი კოპალიანს**
**ლილი, ჯემალ დავითულიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის საამაყო ქალი.

**ოთარ კლიმენტის ძე ხეცურიანი ოჯახით.**

---

**ლალი გვიშიანს, ბესიკ ჭაბუკიანს**

გილოცავთ პატარა ნიკას დაბადებას. გაგეზარდოთ სასახელო ქართველი.

**ნატო, ნათელა კვირკაშვილები.**

---

**ზოია შოთას ასულ კოპალიანს**
**ასკალო სეითის ძე ლეთოდიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. მტკიცე და ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**ადგილმრეწველობის კომბინატის თანამშრომლები.**

---

**დოდო კაჭკაჭაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს.

**ნანა, მედეა მეშველიანები.**

---

**საშა დიმიტრის ასულ ურთმელიძეს**

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას. იცოცხლეთ დიდხანს.

**ლერი სალინაძე ოჯახით.**

---

**ნანული იაკობის ასულ სვანიძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ღვირიშის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები.**

---

ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგეობა თანაუგრძნობს მეცლუდი თოდიძეს ბიძაშვილის

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ძმისშვილები ლედი, ნათელა ხაბულიანები, სიძეები გურამ ხმელიძე, თემურ შკუბულიანი, გრიგოლ პანანიდი, ძმისშვილისშვილები ია, სელიკო, ლამარა, ნაირა' მარინე' კახა, გაგა, მაკა' და ნადია' დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, სიძეები, რძლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ გიორგის ასული ხაბულიანი.**

დაკრძალვა 21 მარტს, კვირას ქ. ცაგერში.

---

მარო სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ანიჩკა, ვალოდია თოდიძეებს

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის მე-10 ა კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ გიორგი ტვილიდიანს ბიძაშვილის

**გოდერძის**

გარდაცვალების გამო.

---

თემურ შკუბულიანი ოჯახით იუწყება

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალებას.

---

დები ცოცო, მათიკო, ლენა' რძალი გოგუცა ყურაშვილები, ძმისშვილები ნანი, მანანა, მარინე, დისშვილები ალბერტი, ლია, მთვარისა მახარობლიძეები, თამაზ, ზურაბ ართმელაძეები, მედიკო, მერაბ მამარდაშვილები, სიძეები რიფატ ართმელაძე, შოთა მამარდაშვილი, გურამ გურჯალიანი, ბელა მამარდაშვილი, ტარიელ დავითულიანი, მერაბ მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა კონსტანტინეს ასული ყურაშვილი-შეყრილაძე.**

დაკრძალვა 20 მარტს, შაბათს, ქ. თბილისში. გამოსვენება თბილისი—31 (დიღომი), სარემონტო კანტორის ბინები, კორპუსი I, ბინა 22.

---

გორის მიქაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბონდო ჭაბუკიანის ოჯახს

**შოთას**

გარდაცვალების გამო.

---

ბახვა, ჯემალ, ვასო სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ გურამ ხმელიძის ოჯახს

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლულუნა, მამა შამშე, მეუღლე ნელი, შვილები ნათია, დათო, ძმები ჯუმბერი, ბადრი, და ია' რძალი მზია, სიძე მურადი ლომთაძე, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯიმშერ (ჯიული) შამშეს ძე ფუტკარაძე.**

დაკრძალვა 21 მარტს, კვირას სოფ. სანორჩში.

---

გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გურამ ხმელიძის ოჯახს

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დისშვილები ლია, იაშა, იდენ ნემსწვერიძეები, რძალი ცუცა ქაჯაია, დისშვილისშვილები ნუნუკა, ნანი, ნონა' სიძეები გია ხარატიშვილი, მერაბ ფრუიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა ივანეს ასული კოპალიანი.**

დაკრძალვა 21 მარტს, კვირას, სოფ. ჭალისთავში.

---

სურათების გალერეის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ანიჩკა ტვილიდიანს ძმისშვილის

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლენა, ამალია, მერაბ სალინაძეები თანაუგრძნობენ გურამ ხმელიძის ოჯახს

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, თამაზ სალინაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალებას.

---

ამზაირ კიზირია ოჯახით თანაუგრძნობს გურამ ხმელიძის ოჯახს

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შერაბ ყვირილიანი, ვალიკო კოპალიანი, გურამ ნემსაძე, ზაურ ჩაფრავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ანიჩკა, ვალოდია თოდიძეებს

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნუნუ ახვლედიანი, ელიზა კოპალიანი თანაუგრძნობენ ია ხმელიძეს

**ეთერ ხაბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მიხეილ კვირკაშვილი, კარლო მუშკუდიანი, გენადი სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ანიჩკა, ვალოდია თოდიძეებს

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ემზარ მდივანი ოჯახით თანაუგრძნობს ბადრი თოდიძეს ბიძაშვილის

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბრიშა ახვლედიანი, რუბენ კოპალიანი, აქსენტი მინდაძე ოჯახებით იუწყებიან

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალებას.

---

შოთა მუშკუდიანი, ამირან ბრეგვაძე თანაუგრძნობენ ანიჩკა, ვალოდია თოდიძეებს

**გოდერძის**

გარდაცვალების გამო.

დედა ნათელა, მამა ზურაბი, და ზაიბული, ძმა გოგია, ბებიები საშა ტვილიდიანი, მარო ლიპარტელიანი, ბაბუა აბიბო ხუციძე, ბიძები ანზორ, ლერი, გურამ ტვილიდიანები, ვალოდია თოდიძე, ლადო გასვიანი, ალბერტ მახაროვლიძე, შახან, ნანა, ჯიბილო ხუციძეები, მამიდები ქენია, ანიჩკა, თინა, მერი, დეიდა ვენერა, ბიცოლები ნაილი ნემსწვერიძე, ია გურგუჩიანი, თამილა სილაგაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოდერძი ზურაბის ძე ტვილიდიანი.**

დაკრძალვა 20 მარტს, შაბათს, სოფ. უცხერში.

---

ბიძაშვილები გოჩა, მირიან, სოფო, ბესიკ, ფატიმა, ბაკური, მარიკა, გოგი ტვილიდიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოდერძი ზურაბის ძე ტვილიდიანი**

---

უახლოესი მეზობლები ავთანდილ, ანზორ, იური ახვლედიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოდერძი ზურაბის ძე ტვილიდიანი.**

---

ოთარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ მინდაძე ოჯახით იუწყება ბიძაშვილის

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლონდა გუგავას ბიძის

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვივი მანდარია ოჯახით იუწყება

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას.

---

შურა გუგავა, ოლეგ ქარსელაძე, ზურა ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვივი ასათიანი, ჟორა ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ აზა, ბონდო, ბენადი ჭაბუკიანებს

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალიკო ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება ძმის

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ნოდარ ფრუიძე ოჯახით იუწყება

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალებას.

---

ცაგერის საშუალო სკოლის ვე-10-ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ბესიკ გურგუჩიანს ბაბუის

**შოთას**

გარდაცვალების გამო.

---

№ 23 საგზაო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ბონდო ჭაბუკიანს მამის

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დაზღვევის ფირმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბონდო ჭაბუკიანს მამის

**შოთას**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის I-ბ კლასის მოსწავლეები ხელმძღვანელი ლედი გურჯალიანი, მშობლები თანაუგრძნობენ ქეთინო ჭაბუკიანს ბაბუის

**შოთას**

გარდაცვალების გამო.

---

ვივი ასათიანი, ჟორა, ჯიმშერ, ჯუსტან ახვლედიანები, მურთაზ მურცხვალაძე, გურამ კოპალიანი, ჟორა ბენდელიანი, დათო მუშკუდიანი, ალექსი ხაბულიანი, დათო გიორგელიძე, ვილგემ მეშველიანი, დათო მიქაძე, ზაზა ყურაშვილი, ზაურ ომანაძე, თამაზ ხეცურიანი, ბუჭუ მამარდაშვილი, დავით, ზაალ სვანიძეები, ბიჭიკო ქარსელაძე, ნოდარ ცვარიანი თანაუგრძნობენ ბიტუ მეშველიანს ძმიშვილის

**ომარის**

ბენადი ჭაბუკიანს მამის

**შოთას**

ანიჩკა ტვილიდიანს ძმისშვილის

**გოდერძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბიტუ მეშველიანს ძმისშვილის

**ომარ მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები მევლუდ ირემაძე, ლაშა გურჯალიანი, ონერ ნემსწვერიძე, ლილი გურგუჩიანი, ჯიბილო მიქაძე, სოსო გასვიანი, ვაჟა კვენტაძე, არჩილ სიგაშვილი, ჯონი ჩებრელი, თემურ სილაგაძე, იური ჩხეტიანი, ზაირა ჭილვარია, გოგი ჭაბუკიანი, სულიკო ყურაშვილი, კარლო თოთაძე, იაგო ყურაშვილი, ზურაბ თუთისანი, რეზო სივსივა თანაუგრძნობენ აზა, ოთარ გურგუჩიანებს

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სოფლმშენკომბლექსის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნონა, ბენადი ჭაბუკიანებს, ოთარ გურგუჩიანს

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ, გოგი ომანაძეები, პარსონ ჩაკვეტაძე, ზურაბ ხაბულიანი, ბახვა სალინაძე, ვივი ასათიანი, იუზა მინდაძე, ვივი, ვახტანგ ახვლედიანები, მურთაზ გერიძე, კაკო სილაგაძე, ტუხუ, რომეო მანდარიები, განჩო გოლეთიანი, სოზარ ცვარიანი თანაუგრძნობენ ბონდო ჭაბუკიანს მამის

**შოთა ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სამსონ, ინდიკო გურგუჩიანები, რაინდი გახსოლიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაილაშის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბონდო ჭაბუკიანს მამის

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ხათუნა ხეცურიანი, ციცო ქარსელაძე, თამრიკო კოპალიანი, მზია ბრეგვაძე, ლეილა ხეცურიანი, ნანა შკუბულიანი, ჟუჟუნა არდანიანი, ლია შკუბულიანი, ლეილა ვაწაძე, დოდო მეშველიანი თანაუგრძნობენ ლოლა, აზა, ციცო ჭაბუკიანებს

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საკრებულოს, ექიმის კაბინეტის, კულტურის სახლის, კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შოთა ილიას ძე ჭაბუკიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შოთა ლეთოდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**სონა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სასურსათო კომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბიტუ, ლენა მეშველიანებს ძმისშვილის

**ომარ მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რომეო მანდარია, ასკალო მურცხვალაძე, ავთო თუთისანი, გუთა ვარდანიძე, ნოდარ ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბიტუ მეშველიანის ოჯახს ძმისშვილის

**ომარ მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაიონის პოლიციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მირიან, ბიტუ მეშველიანებს ბიძაშვილისა და ძმისშვილის

**ომარ ვალოდიას ძე მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია, თამაზ ლედი ყვირილიანებს მამიდისა და ბიძაშვილის

**ლოლას**

გარდაცვალების გამო.

---

ნოშრევან მუშკუდიანის მშობლები, დედმამიშვილები თანაუგრძნობენ დიდ მწუხარებაში მურმან სილაგაძეს ძმის

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დაზღვევის ფირმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საშა კოპალიანს ბიძაშვილის

**სონას**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ნათელა ტვილიდიანს დედამთილის

**სონას**

გარდაცვალების გამო.

---

ვივი სილაგაძე, მურთაზ ბენდელიანი, თენგიზ ჩიქოვანი, ბორის დაშნიანი, თემურ ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**სონა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს დემურ, მადონა ახვლედიანებს მამის

**ილარიონ ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ვაჟა კოპალიანის ოჯახს

**ნაზიკო ლიპარტელიანი -კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლიანა, მარინე, ნელი, ნანული, გუშერი ბენიძეები, ნაზი, დოდო, ვენერა, ბაბილო, დუგლას, იური, ბიჭიკო ომანაძეები, ლალი, დათუნა ჩაკვეტაძეები, ამირან მანდარია ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნაზი, სოზარ ომანაძეებს ბებიის

**ბაბის**

გარდაცვალების გამო.

---

უჩა ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნინო, კახა მუშკუდიანებს ბებიის

**ბაბის**

გარდაცვალების გამო.

---

ჟორა თუთისანი ოჯახით თანაუგრძნობს გუგული, ავერიონ მუშკუდიანებს დედისა და სიდედრის

**ბაბი დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნინა ჩაკვეტაძეს და ჯოკია შკუბულიანს

**დოდოს**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ, მერაბ დავითულიანები, ბუჭუ შკუბულიანი, უჩა ლიპარტელიანი, ნუგზარ მამარდაშვილი, თამაზ, იური ბენდელიანები, ბორის კოპალიანი, ბადრი ლიპარტელიანი, შოთა სვანიძე, ბიძინა მიქაუტაძე, ბრიშა ახვლედიანი, ჟორა ფირცხალავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ლალი, ხვიჩა ბენდელიანებს მამისა და სიმამრის

**გურამ თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

მურმან თოთაძე, ნაილი ფუტკარაძე, კარლო მეშველიანი თამაზ სალინაძე, იზო ტვილდიანი, ნათელა ლიპარტელიანი, დალი კვირკაშვილი, მანანა, ფატი ხეცურიანები, მაყვალა ფუტკარაძე, ელისო ჭაბუკიანი, მაყვალა მურცხვალაძე, აზა ქარსელაძე, ნანი ხაბულიანი, ეთერ გაბლუანი თანაუგრძნობენ ლოლა ჩაკვეტაძეს დის

**დოდო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დადაში გუგავა, ბორის ჩიქოვანი, ჯემალ მეშველიანი, ვივი ბენიძე, ვალიკო გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მალინა, ენგელი ქურასბედიანებს დეიდის

**დოდო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მარგალიტა, ნათელა მინდაძეები, ტარიელ, ბიკინა დავითულიანები, დემურ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან

**დოდო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალებას.

---

თინა ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**თინა ყურაშვილი-ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბრიშა ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლოლა ჩაკვეტაძეს დის

**დოდოს**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო, თამაზ კუხალაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბელა, ზაურ, რეზო ყურაშვილების ოჯახებს სიძის

**გურამის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის კოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი თუთისანს მამის

**გურამ თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი, ზაურ ყურაშვილებს

**გურამ თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

რომეო მანდარია ოჯახით იუწყება

**გურამ თუთისანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუბის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ოთარ ჩაკვეტაძის ოჯახს

**დოდო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიძაშვილები ჯულიონ ჩაკვეტაძე ოჯახით და მაგული ჩაკვეტაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო ნესტორის ასული ჩაკვეტაძე.**

---

შალვა სალინაძე, ლევან ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გოდერძი ზურაბის ძე ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დოდო, ნოდარ ნემსაძეები, ლოლა, ზურაბ ჩიქოვანები თანაუგრძნობენ ანიჩკა, ვლადიმერ თოდიძეებს, ია ლერი ტვილიდიანებს

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ დავითულიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლერი ტვილიდიანის ოჯახს ძმისშვილის

**გოდერძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიძინა (ბიჭი) გურჯალიანი, ზურაბ გურგუჩიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლერი, ია ტვილიდიანებს ძმისშვილისა და მაზლისშვილის

**გოდერძი ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ბიძინა, რეზო, ჯიბო, ვაჟა ახვლედიანები, კუკური, ბიჭიკო, შოთა, უშანგი ნემსწვერიძეები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გოდერძი ზურაბის ძე ტვილიდიანის**

გარდაცვალების გამო.